სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
LEPL - EDUCATION MANAGEMENT INFORMATION SYSTEM

თბილისი, 0160, ფანჯიკიძის ქ. №1ა www.emis.ge ელ.ფოსტა: info@emis.ge ტელ.: +995 322 200220
№1a Panjikidze st, 0160, Tbilisi, Georgia www.emis.ge E-mail: info@emis.ge Phone: +995 322 200220

MES 9 22 0001075575

14/09/2022

მოქალაქე ვიქტორ დათაშვილს
ელ.ფოსტა: foi+request-866-81ad397a@askgov.ge

ბატონო ვიქტორ,

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ განიხილა თქვენი 2022 წლის 8 აგვისტოს განცხადება და დანართის სახით გიგზავნით იმ სტუდენტების სტატისტიკას, რომლებსაც 2019 წლიდან დღემდე ერთხელ მაინც შეუჩერდათ სტატუსი ამა თუ იმ მიზეზით.

გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობით სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი შესაძლოა იყოს სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა; ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ფინანსური დავალიანება ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სტატისტიკური ინფორმაციის ფორმირება განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში არსებულ მონაცემების საფუძველზე ყველა მითითებული მიზეზის გათვალისწინებით, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების შესახებ.

დამატებით გაცნობებთ, რომ ა) სტატუსშეჩერებულ სტუდენტს აქვს უფლება გაიაქტიუროს სტატუსი და ბ) სტუდენტმა სტატუსი შეიძლება შეიჩეროს რამდენჯერმე. გ) ერთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სტატუსშეჩერებული სტუდენტი შეიძლება აქტიური იყოს სხვა უმაღლეს სასწავლებელში.

დანართი: 1 ფაილი

პატივისცემით,

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსი
ბერიძე დიმიტრი